ოქმი:**ო02. 3726133001**

თარიღი:**13/05/2026**

ოქმი №8

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის

2026 წელი, 8 მაისი

ქ.ოზურგეთი

10:00-13:00 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით ჭაკნელიძე - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე

ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ნ. ურუშაძე, ნ. გობრონიძე, გ. გაბისიანი, ტ. აროშიძე, დ. კიკვაძე, მ. ცქვიტიშვილი, დ. ხურციძე, ზ. მორჩილაძე, ც. ცინცაძე, ლ. ქვილორია, ლ. კილაძე, ზ. სალუქვაძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსული კორესპოდენციის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე

თანამომხსენებელი: ცოტნე ცინცაძე

ირაკლი ანდღულაძე

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ შემოქმედში არსებულ უსახელო ქუჩის სახელდების შესახებ - საკრებულოს წევრ ეკა წუწუნავას ინიციატივის თაობაზე.
   მომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე
3. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ შემოქმედში მდინარე ბჟუჟზე არსებული უსახელო ხიდისათვის შალვა გიორგაძის სახელის მინიჭების შესახებ.
   მომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე

სხდომის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ პირველ საკითხთან დაკავშირებით, კომისიის წევრებს გაცნო სსიპ სივრცითი და ქალაქმშენებლობითი განვითარების სააგენტოს საპროექტო ჯგუფის მიერ ქ. ოზურგეთის გენერალური გეგმის ხედვისა და სტრატეგიის შემუშავების II ეტაპის დოკუმენტაცია, რომელიც, მისი თქმით, უნდა განიხილონ შესაბამისმა სამსახურებმა მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმასთან მიმართებით, ხოლო, შენიშვნები და რეკომენდაციები, არსებობის შემთხვევაში, მიაწოდონ მუშა ჯგუფს მიმდინარე წლის 11 მაისამდე. მანვე აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის 3 აპრილს, სამუშაო ჯგუფთან ერთად, დოკუმენტის განხილვაში მონაწილეობდნენ მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები ც. ცინცაძე და ლ. კვაჭაძე, მუნიციპალიტეტის მერიის აქიტექტურის განყოფილების უფროსი მ. მახარაძე.

კომისიის წევრმა, თანამომხსენებელმა ც. ცინცაძემ კომისიას, თბილისში გამართული სამუშაო შეხვედრის შედეგები წარუდგინა. მან მოკლედ ისაუბრა გენერალური გეგმის ხედვებისა და სტრატეგიების პრეზენტაციის ძირითად საკითხებზე, გეგმის ნიუანსებზე, ასევე, საპროექტო ჯგუფისთვის, თემატური მიმართულების მიხედვით საკრებულოს წევრების მხრიდან შეთავაზებულ ინიციატივებზე, რომლებიც წარმოდგენილია განსახილველ დოკუმენტში. ც.ცინცაძემ აღნიშნა, რომ გენერალური გეგმა იქნება ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს ქ. ოზურგეთის და მთლიანად მუნიციპალიტეტის განვითარებას. ნიშანდობლივია, რომ დოკუმენტში ხაზგასმულია ოზურგეთის რეგიონული ცენტრის, ორი კურორტის ურეკისა და გომის მთის, ზღვისა და მთის დამაკავშირებელ ცენტრის მნიშვნელობაზე.

თანამომხსენებელმა ი. ანდღულაძემ განაცხადა, რომ გენერალური გეგმის შემუშავებაზე მუშაობა მიმდინარეობს 2022 წლიდან. მისი განმარტებით, პირველ ეტაპზე ყალიბდება ხედვები და სტრატეგიები, რის შედეგადაც შემუშავდება კონცეფცია. გენერალური გეგმა სრულყოფილ სახეს მიიღებს განაშენიანების გეგმის დართვის შემდეგ. მისივე ინფორმაციით, დოკუმენტში წარმოდგენილია სამი განვითარების სცენარი - პრაგმატული, ადაპტირებული და ტრანსფორმაციული. სავარაუდოდ, გენერალური გეგმა იქნება ჰიბრიდული ხასიათის და მოიცავს აღნიშნული სცენარების კომბინირებულ ელემენტებს, სადაც ძირითადი წილი ადაპტირებულ სცენარს დაეთმობა.

ი. ანდღულაძემ ასევე აღნიშნა, რომ ა(ა)ი.პ. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორული დაგეგმარების ცენტრი“-ს მიერ დაფიქსირებულია ტექნიკური ხასიათის შენიშვნები, რომელიც აისახება სააგენტოში გასაგზავნ ერთობლივ წერილში.

კომისიის წევრებმა ერთხმად აღნიშნეს, რომ სტრატეგიული განვითარების გეგმა შესაბამისობაში უნდა იყოს მუნიციპალიტეტის ქალაქის გენერალური გეგმასთან.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მოიწონეს ოზურგეთის გენერალური გეგმის ხედვები და სტრატეგიები.

სხდომის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ კომისიის წევრებს გაცნო დღის წესრიგის მეორე საკითხი- განაცხადა, რომ იგი ეხება სოფელ შემოქმედის გორისფერდის უბნისთვის „შემოქმედის ქუჩის“ სახელის მინიჭებას. ინიციატივით საკრებულოში შემოსულია საკრებულოს წევრი ე. წუწუნავა, მოსახლეობასთან შეხვედრით გამოვლინდა, რომ ისინი მხარს უჭერენ ე. წუწუნავას ინიციატივას.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს გორისფერდის უბნის სახელდების თაობაზე დოკუნენტაციის მომზადებას და გაგზავნას შესაბამის სამთავრობო კომისიაში.

მომხსენებელმა, მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ დღის წსრიგის მესამე საკითხზე აღნიშნა,რომ საქმე ეხება ამავე სოფელ შემოქმედში მდინარე ბჟუჟზე არსებული ხიდისატვის სოფლის მკვიდრ, ცნობილი ინჟინერ-მშენებლის „შალვა გიორგაძის სახელის“ მინიჭებას, აქაც გამოვლინდაა, რომ მოსახლეობა ერთმად უჭერს მხარს ამ მოსაზრებას.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს მდინარე ბჟუჟზე არსებული ხიდის სახელდების თაობაზე დოკუნენტაციის მომზადებას და გაგზავნას შესაბამის სამთავრობო კომისიაში.

გადაწყვიტეს:

1. მოწონებულ იქნას ქ. ოზურგეთის გენერალური გეგმის წარმოდგენილი ხედვები და სტრატეგიები, თანდართული დასკვნის შესაბამისად.

2. სოფელ შემოქმედში არსებული გორისფერდის უბნისა და მდინარე ბჟუჟზე არსებული ხიდის სახელდების თაობაზე მომზადდეს შესაბამისი დოკუმენტაცია და გადაიგზავნოს სამთავრობო კომისიაში.

დავით ჭაკნელიძე

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და
ინფრასტრუქტურის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი